ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ01.012002710
თარიღი:27/01/2020

ქალაქთმშენებლობითი დაგეგმარების ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებით მიზნით, სტრატეგიული დაგეგმვისა და ურბანული განვითარების სფეროში მომუშავე კომპანიის TSPA (Thoma Stellmach planning and architecture) ექსპერტების მონაწილეობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ დაგეგმილი ვორქშოპის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ" და „პ" ქვეპუნქტების, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N51-104 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2020 წლის 24 იანვრის N67-01200243263 წერილის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს, ქალაქთმშენებლობითი დაგეგმარების ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებით მიზნით, სტრატეგიული დაგეგმვისა და ურბანული განვითარების სფეროში მომუშავე კომპანიის TSPA (Thoma Stellmach planning and architecture) ექსპერტების მონაწილეობით დაგეგმილი ვორქშოპის გამართვასთან დაკავშირებით ხარჯის (კვებით გამასპინძლება, ავიაბილეთები, საცხოვრებელი ფართის დაქირავება, ტრანსპორტით მომსახურება, დარბაზის იჯარა) ანაზღაურება 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ფარგლებში.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს ამ ბრძანების პირველი პუნქტის გათვალისწინებული ხარჯის ანაზღაურება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურისთვის მიკუთვნებული პროგრამის - „ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება" (კოდი: 04 12) ასიგნებებიდან.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურს, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის

მოადგილეს ილია ელოშვილს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი